



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/216

„ 25 „ ივნისი 2018 წ.

ბ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საერთო სასამართლოებში სამართალწარმოებისას მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 29 მაისის №1/162 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების მიზნით, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს საერთო სასამართლოებში სამართალწარმოებისას მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელების წესი თანდართული სახით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

**საერთო სასამართლოებში სამართალწარმოებისას მთარგმნელობითი და
სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელების
წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საერთო სასამართლოებში სამართალწარმოებისას, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ამ წესის მიზანია ხარისხიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელების მეშვეობით, ასევე საერთო სასამართლოებში საჭირო რაოდენობის თარჯიმნების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი

საერთო სასამართლოებში მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი).

მუხლი 3. მონიტორინგის განხორციელების წესი

1. საერთო სასამართლოების მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურებით უზრუნველყოფას ახორციელებს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

2. მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის კონტროლი ხორციელდება თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებით პროცესის მონაწილე იმ პირთა მიერ სასამართლო სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებმაც ისარგებლეს ამგვარი მომსახურებით.

3. სასამართლო სხდომის მდივანი უზრუნველყოფს მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების სხდომის ოქმში დაფიქსირებას და პროცესის დასრულების შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე ადგენს წერილობით ინფორმაციას.

4. წერილობით ინფორმაციაში უნდა აღინიშნოს საქმის ნომერი, საქმის განხილვის დრო და ადგილი, საქმის განხილველი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, პროცესის მონაწილის/მონაწილეთა ვინაობა, რომლებმაც ისარგებლეს მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურებით, თარჯიმნის ვინაობა, პროცესის მონაწილის/მონაწილეთა მიერ თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების დეტალური აღწერა.

5. სასამართლო სხდომის მდივანი წერილობით ინფორმაციას წარუდგენს შესაბამისი სასამართლოს მენეჯერს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას უგზავნის საერთო სასამართლოების დეპარტამენტს.

მუხლი 4. ანგარიშვალდებულება

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წელიწადში არანაკლებ ორჯერ წარედგინება:

ა) საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმაცია საერთო სასამართლოებში მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგისა და მიღებული ზომების შესახებ;

ბ) საერთო სასამართლოების ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში თარჯიმნის მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო პროცესების რაოდენობისა და გამოყენებული უცხო ენის თაობაზე.